

შუა საუკუნეების ხელნაწერთა ფორცაზებისა და პალიმფსესტური ფურცლების ისტორიები

ზაზა ალექსიძე, თამარ ოთხმეზური

შუა საუკუნეების ხელნაწერი წიგნები ხშირად ახალი აღმოჩენების წყარობად იქცევიან ხოლმე. ახალი ხელნაწერის შესაქმნელად ძველის გამოყენება შუა საუკუნეებში საკმაოდ გავრცელებული წესი იყო. ცნობილია არაერთი ნუსხა, რომელიც შეიცავს სხვა, უფრო ადრინდელი ხელნაწერის ფრაგმენტებს ფორცაზების (დამცავი ფურცლებისა) თუ პალიმფსესტების სახით, რომლებზეც, დამუშავების (გადაფხეკის) შემდეგ, ხელახლა არის დაწერილი ტექსტი. ამისი მიზეზი ძნელად მოსაპოვებელი და რთულად დასამუშავებელი, შესაბამისად, ძვირადღირებული მასალის – ეტრატის სპეციფიკა იყო. ხელნაწერს ხელახლა, უმეტესად, ისეთ მწიგნობრულ გარემოში მოხვედრის შემდეგ იყენებდნენ, რომლისთვისაც მისი ენა და დაწერილობა უცნობი და გაუგებარი იყო. ხელნაწერებში ჩაკარგული ამ ფურცლების გამოვლენა და შესწავლა მნიშვნელოვანია უძველესი ხელნაწერების რეკონსტრუქციისა და იმ უძველესი ტექსტების გამოვლენისათვის, თუნდაც ფრაგმენტების სახით, რომლებიც ამ ხელნაწერებში ადრე იყო დაცული. ამგვარი კვლევა საყურადღებოა, ასევე, იმ ხელნაწერთა ისტორიის წარმოსაჩენად, რომელთა ნაწილებიც არიან დღეს ეს ფურცლები და იმ მწიგნობრული გარემოსა და ეპოქის წარმოსადგენად, როდესაც ძველი ხელნაწერების ნაწილებად დაჭრილ თუ გადაფხეკილ ფურცლებს ახალი ხელნაწერი წიგნების მასალად იყენებდნენ. ქვემოთ მოტანილი იქნება აღმოსავლურ ქრისტიანულ სამყაროში ძველი ხელნაწერების ხელმეორედ გამოყენების რამდენიმე განსაკუთრებით მნიშვნელოვანი მაგალითი.

* * *

ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის სომხური კოლექციის ხელნაწერში – *Arm. 24* დასტურდება ეტრატის შვიდი დამცავი ფურცელი (დასაწყისში – ოთხი, ბოლოში – სამი). ამათგან ორი ფურცელი ქართულ ტექსტს შეიცავს, ხოლო ხუთი – სომხურს.

Arm. 24 წარმოადგენს სახარებას. მასში დაცული კოლოფონის მიხედვით, ის გადაწერილია პეტროს აბელას მიერ 1568/1569 წლებში ოწაბერდის მონასტერში (ისტორიულ არცახში, დღევანდელ მთიან ყარაბაღში). როგორც კოლოფონის მიხედვით ირკვევა, მისი მასწავლებელი იყო ალთამარელი კათალიკოსი გრიგორის II (1544-1586), რომლის რეზიდენცია ვანის ტბაში, ალთამარის კუნძულზე მდებარეობდა.

დამცავი ფურცლები ამ ხელნაწერში მისი გადაწერისთანავე უნდა ყოფილიყო ჩაკინძული; ხელნაწერს ახლავს თანადროული ტვიფრული ყდა და არა ჩანს რესტავრაციისა თუ ხელახალი აკინძვისა არანაირი კვალი. ეს არის სქელი, მოყვითალო ფერის ეტრატის ფურცლები, რომლის ზედა და ქვედა აშიები ჩამოჭრილია სომხური ხელნაწერის ზომასთან მისადაგების მიზნით. ზომები: I ფურცელი – 27,2 x 19სმ; II ფურცელი – 28,4 x 18,7სმ. ტექსტი მუქი ყავისფერი მელნით არის ნაწერი ორ სვეტად, ასომთავრულით. გადამწერი არ უნდა იყო გამოცდილი კალიგრაფი. ნაწერი არათანაბარი და მოუწესრიგებელია.

დამცავ ფურცლებზე წარმოდგენილი ქართული ტექსტი *ლუკას სახარების* ფრაგმენტებია (I: *ლუკა* 14, 26; II: *ლუკა* 11, 25). ფრაგმენტი პალეოგრაფიულად, ორთოგრაფიულად და ენობრივად X საუკუნით შეიძლება დათარიღდეს.

რაც შეეხება *Arm. 24*-ის დამცავ ფურცლებზე წარმოდგენილ სომხურ ტექსტს, ეს არის ლექციონარის ფრაგმენტი (დიდი პარასკევის განგების ნაწილი). ტექსტი ნაწერია ეტრატზე ორ სვეტად, ყავისფერი მელნით. სომხური ლექციონარის ტექსტის შემცველი ფურცლების ზედა და გვერდითა აშიები ჩამოჭრილი და მისადაგებულია სომხური სახარების ხელნაწერს ისე, რომ პირველი ფურცლის პირველი სვეტის დასაწყისი ასოები დაკარგულია. პალეოგრაფიულად ტექსტი ძველის შთაბეჭდილებას ტოვებს: ნაწერია დიდი ზომის, ოდნავ მარჯვნივ გადახრილი ერკათაგირით. ტექსტი იმ ფორმით არის წარმოდგენილი, რა ფორმაც ლექციონარს აქვს სომხურ ხელნაწერებში: ლიტურგიკული მითითებები ძირითად ტექსტთან შედარებით უფრო მცირე ზომის ასოებით არის შესრულებული. ტექსტი ნაწერია გაბმულად; განკვეთილობისა და პროსოპოგრაფიის ნიშნების გამოყენების მიხედვით, ფრაგმენტი შეიძლება X საუკუნით დათარიღდეს.

ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში ინახება მხითარისტ კალატოზიშვილის არქივი, რომელიც საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ხელნაწერთა განყოფილებას თავის დროზე მის მემკვიდრეთაგან შეუძენია. საარქივო მასალაში აღმოჩნდა საკმაო რაოდენობით ძველი ქართული ხელნაწერების ფრაგმენტები. ეს ფრაგმენტები ადრე, როგორც ჩანს, სხვა, სავარაუდოდ, სომხური ხელნაწერების დამცავ ფურ-

ცლებად იყო გამოყენებული. ამ ფრაგმენტთა რიგს ეკუთვნის Q-213. ეს არის ეტრატის ორი გაყვითლებული და გაუხეშებული ფურცელი, რომელიც ოდესღაც წარმოადგენდა ერთ მთლიანობას: დიდი ეტრატის ფურცლის ჰორიზონტალურად გადაჭრის შედეგად მიღებული ნახევარი ვერტიკალურადაც არის გაჭრილი, როგორც ჩანს, მცირე ფორმატის ხელნაწერ წიგნთან მისადაგების მიზნით. შედეგად, ორი სვეტიდან ფურცელზე მხოლოდ ერთია დარჩენილი. ფურცლების ზომაა 14, 5 x 11,5 სმ. ტექსტი წარმოადგენს *მარკოზის სახარების* ფრაგმენტს (*მარკ.* 14,72; 15,1-15). შედარებით გვიანდელი ნუსხურით, აშიებზე მიწერილია რიცხვები – *რჟჴ, რჟთ, ტდ, სბ* (*მარკოზის სახარების* სტიქომეტრია).

კვლევის შედეგად დადასტურდა, რომ Q-213 ძალიან ახლოს დგას *Arm.* 24-თან როგორც პალეოგრაფიითა და ორთოგრაფიით, ისე ტექნიკური პარამეტრებითაც: სტრიქონებს შორის მანძილი, აშის ზომა და ა. შ., ფაქტობრივად, იდენტურია; ეს ორი ფრაგმენტი იდენტურია დაქარგმებისა და საზედაო ასოების გამოყენების პრინციპებითაც. აშკარაა, რომ ისინი ერთი და იმავე ხელნაწერის ნაწილებს წარმოადგენს, ამიტომაც Q-213, ისევე როგორც *Arm.* 24, X საუკუნით თარიღდება.

Q-213-ს აშიაზე აქვს რამდენიმე გვიანდელი მინაწერი სომხური ნუსხურით, და რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, თარიღი, რომელიც ემთხვევა *Arm.* 24-ის კოლოფონში მითითებულ ხელნაწერის გადაწერის თარიღს, 1568/1569 წლებს. თარიღის დაწერილობაც ორივე ხელნაწერში ძალიან წააგავს ერთმანეთს. შესაბამისად, საფიქრელია, რომ *Arm.* 24-ის დამცავი ფურცელი და დამცავი ფურცელი – Q-213 ერთდროულად არის ამოღებული ქართული ოთხთავიდან და დაჭრილი 1568-1569 წლებში გადაწერილი სომხური ხელნაწერების ასაკინძავად.

ნიშანდობლივია, რომ ქართული ხელნაწერის კვალი აქ არ იკარგება. მისი კიდევ ერთი ფურცელი, რომელიც აღმოაჩინა ფრანგმა მკვლევარმა ბერნარ უტიემ მატენადარანში (ერევანი), დამცავ ფურცლად არის ჩაკინძული სომხურ ოთხთავში (მატენად. 37-16), რომელიც 1421 წლით არის დათარიღებული. სომხური ოთხთავის დამცავი ფურცელი შეიცავს *მარკოზის სახარების* ფრაგმენტს (*მარკ.* 8:17-31). ქართული ტექსტის შემცველი ფურცლის ზედა და გვერდითა აშიები ჩამოჭრილი და მისადაგებულია სომხური ხელნაწერისათვის, რის შედეგადაც პირველი სვეტის დასაწყისი ასოები დაკარგულია. ფურცლის ზომაა: 25 x 18სმ; ტექნიკური მონაცემებით, პალეოგრაფიითა და ორთოგრაფიით, მატენადარანის ფრაგმენტი ზუსტად ემთხვევა *Arm.* 24-სა და Q-213-ს. მატენადარანის ფრაგმენტში, *Arm.* 24-ის მსგავსად,

გვაქვს წითელი მელნით შესრულებული ლიტურგიკული მითითებები, ხოლო Q-213-თან მატენადარანის ფრაგმენტს აახლოვებს სტიქომეტრია (კა და კბ).

ამგვარად, აშკარაა, რომ სამივე ფრაგმენტი ერთი ქართული ხელნაწერის, სახარების ნაწილებს წარმოადგენს. ხოლო მისი დაშლისა და დამცავ ფურცლებად ქცევის ისტორია ასე უნდა წარმოვიდგინოთ: ქართული სახარება აღმოჩნდა მისთვის უცხო, სომხურენოვან მწიგნობრულ გარემოში, ვანში, სადაც ის 1421 წელს დაიშალა და დაიჭრა დამცავ ფურცლებად სომხური ოთხთავის (მატენად. 37-16) გამაგრების მიზნით. დაახლოებით ერთი საუკუნის შემდეგ, 1568-1569 წლებში, ქართული სახარება, უკვე დაშლილი სახით, როგორც ასაკინძი მასალა, პეტროს აბელამ ვანიდან (სადაც მან განათლება მიიღო ალთამარელი გრიგორის II-ისაგან) გადაიტანა ოძაბერდში. აქ მან გადაწერა სომხური სახარება (*Arm.* 24) და ქართული სახარების ფურცლები გამოიყენა თავისი წიგნის გასამაგრებლად. ამავე წლებში ქართული ოთხთავი დამცავ ფურცლებად (Q-213) გამოიყენეს კიდევ ერთი, ჩვენთვის უცნობი სომხური ხელნაწერისათვის.

მთელი ამ ისტორიიდან გამომდინარე, არ არის გამორიცხული, რომ ამ ხელნაწერის კვალმა კვლავაც სადმე იჩინოს თავი.¹

* * *

ხელნაწერთა ეროვნული ცენტრში დაცულ სომხურ ხელნაწერში – *Arm.* 308, სახარება (282 ფ., ზომა 175 სმ x 125 სმ) – დამცავ ფურცლებად ბერძნული ხელნაწერი ფურცლებია გამოყენებული. ორნამენტული დეკორის მიხედვით, სომხური სახარება განეკუთვნება სომხური ხელნაწერის გაფორმების კილიკიურ სკოლას, რომელიც ჩამოყალიბდა და განვითარდა ხმელთაშუა ზღვის ჩრდილო-აღმოსავლეთით, კილიკიაში, XIII-XIV საუკუნეებში [დურნოვო... 1978:20-21]. რაც შეეხება დამცავ ფურცლებს: ეს არის ბერძნული ხელნაწერის ერთი ფურცელი (დღეისათვის მისი აღმნიშვნელი ლიტერია *Gr./Arm.* 32), რომელიც გაჭრილია შუაზე, ჩამოჭრილი აქვს მარცხენა აშია (*r*-ს მხრიდან), გაკეცილია და დამცავ ფურცლებად ჩაკინძულია ხელნაწერში (ორი დამცავი ფურცელი ხელნაწერის დასაწყისში და ორი – ბოლოში, ამათგან კიდური ფურცლები ერთ დროს ყდის შიდა ზედაპირზე იყო დაკრული, რაზეც მათ კიდებზე შემორჩენილი წებოს კვალი მიანიშნებს).

რეკონსტრუირებული სახით ბერძნულად ნაწერი ფურცლის ზომაა [2 სმ x 17,5 სმ] x 24,5 სმ. აქვს საკმაოდ განიერი აშიები: ზედა აშია – 3,5 სმ

1 დეტალურად დამცავ ფურცლებზე წარმოდგენილი ქართული ოთხთავისა და სომხური ლექციონარის ტექსტების სპეციფიკისა და მათი ადგილის შესახებ ძველ ქართულსა და სომხურ მწერლობაში იხ. [ალექსიძე...2011:360-390].

მმ, ქვედა აშია – 60 მმ, მარჯვენა აშია – 6 სმ. ტექსტი ორ სვეტად არის ნაწერი, ცალკეული სვეტის სიგანე – 8 სმ; მანძილი სვეტებს შორის – 2,5 სმ. შეიცავს 32 სტრიქონს. მასალა – ეტრატი, სქელი, მოყვითალო ფერის; მელანი – ყავისფერი, მცირედ გაფორმებული ინიციალები შესრულებულია წითელი მელნით. ძირითადი ტექსტი დაწერილია მინუსკულით, მარგინალური შენიშვნა – მაიუსკულით. დაწერილობის ტიპია ე. წ. *Perlschrift* (მარგალიტისებრი). ეს არის საკმაოდ დახვეწილი, მომრგვალებული ხელწერა; ტექსტი დაწერილია გაშლილად, გავრცობილად. განიერი აშიები და გაშლილად ნაწერი ტექსტი იმაზე მინიშნებს, რომ ხელნაწერის შექმნისას უხვად იყო გამოყენებული საკმაოდ ძვირადღირებული, თუმცა ნაკლებად დამუშავებული ეტრატი.

ტექსტი წარმოადგენს იოანე ოქროპირის *მათეს სახარების კომენტარს* (*Homil. 26, PG 57, col. 339 l. 15 – col. 340 l. 19*): *Inc. ... τὰ ἀκολουθίαυ σόμωα ἐγύετο· τὸ δὲ παρειμένον σφίγξει ... Des. ... Οἱ γὰρ ταῦτα πείθοι...*²

1v-ზე, ზედა აშიაზე, მოთავსებულია სინგურით შესრულებული მარგინალური შენიშვნა: $\text{H}\Theta \text{K} \zeta' \text{ } \delta\text{t}\text{i} \text{ o}\delta \text{ n}\epsilon\text{i} \text{ m}\acute{\epsilon}\chi\text{r}\text{i} \text{ t}\acute{\epsilon}\lambda\text{o}\text{u}\zeta \text{ t}\theta\alpha\rho\acute{\rho}\epsilon\text{i}\text{v} \text{ t}\theta\text{o}\text{s} \text{ } \acute{\epsilon}\sigma\text{t}\omega\text{t}\alpha, \text{ } \eta \text{ } \acute{\alpha}\text{p}\text{o}\gamma\text{u}\text{s}\acute{\omega}\sigma\text{k}\epsilon\text{i}\text{v} \text{ } \acute{\epsilon}\alpha\text{v}\text{t}\theta\text{v} \text{ t}\theta\text{v} \text{ p}\epsilon\text{i}\text{p}\text{t}\omega\text{k}\acute{o}\text{t}\alpha$. ამავე გვერდზე, მარცხენა აშიაზე, ოქროპირის ტექსტის ($\text{M}\eta \text{ t}\text{o}\text{i}\text{s}\text{u}\text{s} \text{ t}\theta\alpha\rho\acute{\rho}\omega\text{m}\epsilon\text{u} \text{ o}\delta \text{ } \acute{\epsilon}\sigma\text{t}\omega\text{t}\epsilon\zeta$ (PG 57, 340 l. 1) გასწვრივ, წარმოდგენილია მარგინალური ნიშანი $\text{H}\Theta \text{K} \zeta'$ (ήθικόν κζ'), რომელიც მინიშნებს, რომ ზედა აშიაზე მოთავსებული 26-ე (κζ') შენიშვნა ეთიკური ხასიათისაა (ήθικόν) და ტექსტის ამ ნაწილს უკავშირდება. ბიბლიური ციტატები (მათე 8:13 (*bis*); მათე 19:30; მათე 3:9) ფრაგმენტში მონიშნულია მარგინალური ნიშნით, ობელოსით.

პალეოგრაფიული ნიშნებით ნაწერი მსგავსებას ავლენს XI საუკუნის I ნახევრის ბერძნულ ხელნაწერებთან.³ ხოლო სტრუქტურტის მიხედვით *Gr./Arm.* 32 გარკვეულ კავშირში ჩანს იოანე ოქროპირის *მათეს სახარების კომენტარის* შემცველ ათონური წარმომავლობის ბერძნულ ხელნაწერებთან. ამ ხელნაწერებში დადასტურებულია იმ ტიპის მარგინალური შენიშვნები (ήθικόν-ები), როგორც წარმოდგენილია *Gr./Arm.* 32-ის v-ზე. კერძოდ, ზუსტად ეს შენიშვნა არის ათონურ ხელნაწერში – *Trin. Cantab.* B 8 4 (PG 57, col. 340, schol. 60). მსგავსი მარგინალური შენიშვნები დასტურდება, ასევე, იოანე ოქროპირის

2 კომენტარი ეხება კაპერნაუმში ასისტავის მონის განკურნებას (მათე, 8:5-13).

3 ამ კუთხით განსაკუთრებით საყურადღებოა ხელნაწერები: *Vat. gr.* 1613 (მენოლოგიონი) და *Paris. gr.* 784 (იოანე ოქროპირის თხზულებათა კრებული). [ლეიკი...1937:14, Pl. 501-503; ლეიკი...1935:11, Pl. 249-250]. თბილისური ფრაგმენტის პალეოგრაფიული ანალიზი ამ ხელნაწერებთან მიმართებით იხ. [ოთხმეზური... 2011].

ამ ნაშრომის შემცველ ოთხ ათონურ ხელნაწერშიც: *Bologna, BCA, A1; Istanbul – Πατριαρχική Βιβλιοθήκη, Μουσὴ τῆς Ἀγίας Τριάδος, 119; Ἀθήνα, Ἐθνικὴ Βιβλιοθήκη 2538; Vat. Urb. gr. 19* [ლოსაკო:2007].

ნიშანდობლივია, რომ ექვთიმე ათონელის მიერ X საუკუნეში ათონზე შესრულებულ ქართულ თარგმანშიც დასტურდება შენიშვნები „სწავლანის“ (ἱθικόν) სახელწოდებით, რომელთა შესახებ ექვთიმეს მამა, იოანე ათონელი თავის ცნობილ ანდერძში წერს: „ხოლო ვინაძეთან წმიდასა მამასა ჩუენსა, იოვანე ოქროპირსა, ესრეთ აქუნდა ჩუეულებად, რადთამცა წარმოთქუა თარგმანებად სახარებისად, მყოარჟამ და მერმე, აღსასრულსა ზედა, სწავლასა წარმოიტყოდა, ამისათვის ძალი თითოეულისა სწავლისა აქა დაგვწერია, რადთა რომელსაცა ვინ ეძიებდეს, ადვილად პოოს, რამეთუ ესრეთ არს ბერძულთაცა წიგნთა შინა,“ რასაც მოსდევს სწავლათა ჩამონათვალი, რომელიც დანომრილია 1-დან 90-მდე (ა – ჟ). ჩამონათვალში 26-ე ნომერია: სწავლაჲ კვ. ვითარმედ არა უკმს მდგომარესა ვიდრე აღსასრულადმდე მინდობად თავისა თვისისად, არცა რომელი დაეცეს, უკმს სასოწარკვეთილობად [ოქროპირი 1966:15-19]. ქართული ტექსტი სიტყვასიტყვით მისდევს თბილისური ფრაგმენტის HΘ κ' ႁ-ს. (შდრ. HΘ κ' ႁ' ႁτι οὐ δει μέχρη τέλους θάρρειν τὸν ἔστωτα, ἢ ἀπογινώσκειν ἔαυτὸν τὸν πεπτωκότα). რაც შეეხება თავად ექვთიმე ათონელის ქართულ ტექსტს, ის დაყოფილია თავებად და, ამასთან ერთად, ოთხმოცდაათ (ჟ) „სწავლად“; 26-ე „სწავლა“, თავისი ეთიკური ხასიათის შენიშვნით, ჩართულია ტექსტში ზუსტად იმ ადგილას, სადაც *Gr./Arm.* 32-ში აშიაზე გაკეთებულია მინიშნება მარგინალურ შენიშვნაზე [ოქროპირი 2011:127]. ამგვარად, ქართული მასალის მიხედვით, კიდევ ერთხელ დასტურდება: იოანე ოქროპირის *მათეს სახარების კომენტარის* იმ ბერძნულ ხელნაწერებში, რომლებიც ათონზე იყო მიმოქცევაში X საუკუნის ბოლოსათვის, დაცული იყო შენიშვნები („სწავლანი“), რომელთა საშუალებით მონიშნული იყო იოანე ოქროპირის ტექსტის ეთიკური, სამოძღვრო-დამრიგებლობითი ხასიათის პასაჟები.

დღეისათვის ძნელი სათქმელია, ἱθικόν-ები მხოლოდ ათონური ნუსხების მახასიათებელია, თუ ისინი ასევე დასტურდება ამ თხზულების შემცველ არაათონური წარმომავლობის ნუსხებიშიც,⁴ ამდენად, ამ

4 იოანე ოქროპირის თხზულებათა შემცველი ხელნაწერების აღწერილობებიდან *მათეს სახარების კომენტარის* ტექსტის ეს სპეციფიკა არ ჩანს, თუმცა აღწერილობების მიხედვით აშკარაა, რომ უკვე იოანე ოქროპირის XI საუკუნის კომპილაციურ კრებულებში ოქროპირის ამ შრომიდან საკითხავების სახით შეტანილია ცალკეული პასაჟები – ἱθικόν-ები (მაგ., Cromwell 23 (1064-65) – *In Matthaenum hom. 35, ethicon* (= PG 57, col. 409, l.1); *Brit. Mus. Cod. Add.* 19703 (XII c.) – *In Matthaenum hom. 69, ethicon* (= PG 58, col. 651, l.12); ობინო 1968.

კრიტიკრიუმს ჩვენი ფრაგმენტის უშუალო წარმომავლობის განსაზღვრებისათვის ვერ დავეყრდნობით. ასე რომ, ამ შემთხვევაში, და საერთოდაც, სრულიად გასაზიარებელია ცნობილი პალეოგრაფის, ბარბუს შენიშენა, რომ თუ კი ხელნაწერი არ შეიცავს კოლოფონს, რომელშიც ერთმნიშვნელოვნად არის მითითებული მისი გადაწერის ადგილი, ამ ხელნაწერის წარმომავლობის შესახებ საუბარი ძალიან დიდ რისკთან არის დაკავშირებული [ბარბუ 1981: XXI]. იოანე ოქროპირის *მათეს სახარების განმარტების* თბილისური ფრაგმენტის მიხედვით დანამდვილებით მხოლოდ ის შეიძლება ითქვას, რომ ქრისტიანობის უდიდესი ავტორიტეტის, იოანე ოქროპირის ფუნდამენტური ნაშრომის შემცველი საკმაოდ მოზრდილი, ძვირადღირებული ბერძნული ხელნაწერი, რომელიც გადაწერილი უნდა ყოფილიყო XI საუკუნის I ნახევარში ბიზანტიის მნიშვნელოვან სკრიპტორიუმში, XIII-XIV საუკუნეებში, სომხურენოვან გარემოში მოხვედრის შედეგად, დაიშალა და ნაწილებად დაიჭრა ხელახალი გამოყენებისათვის – დამხმარე მასალად სომხური ხელნაწერისათვის.

* * *

ხელნაწერი, რომელიც სამეცნიერო ლიტერატურაში ჭილ-ეტრატის იადგარის [იადგარი 1977; აგრეთვე: უძველესი იადგარი 1980]. სახელწოდებით არის ცნობილი (H-2123, ამჟამად წარმოდგენილია სამი, ცალ-ცალკე აკინძული მცირე ზომის წიგნაკის სახით), შეიცავს რამდენიმე პალიმფსესტურ ფურცელს. ის XIX საუკუნის II ნახევარში რუსმა სიძველეთმცოდნემ, პორფირი უსპენსკიმ საბა-წმიდის მონასტერში აღმოაჩინა. მის მიერ ხელნაწერი ეთიოპურად იყო მიჩნეული – სამივე ნაწილს წარწერილი აქვს: Codex aethiopicus, pars I, II, III, A. Porfirius. ალექსანდრე ცაგარელმა გაარკვია, რომ ხელნაწერი წარმოადგენდა საეკლესიო საგალობელთა ქართულენოვან კრებულს, რის შემდეგაც უსპენსკიმ I წიგნის დამცავ ფურცელზე დააწერა: Эти три книжицы на папирусе грузинские богослужебные, но не евангелие, и не апостол, и не псалтырь. Е. Порфирий. ხელნაწერი 1923 წლამდე ინახებოდა პეტროგრადის ნაციონალურ ბიბლიოთეკაში, ხოლო შემდეგ ის საქართველოში გამოავზავნეს.

ხელნაწერი მომცრო ზომისაა (სმ 9,5 x 11);⁵ გვერდების რაოდენობაა 313 ფ.; ამათგან ჭილია 184 ფ., ეტრათი კი – 129 ფ. ხელნაწერი შედგენილია 10-ფურცლიანი რვეულების, კვინიონებისაგან; ცალკეული კვინიონი შეიცავს ოთხ ეტრატისა (1, 5, 6, 10) და ექვს ჭილის (2, 3, 4, 7, 8,

5 ხელნაწერი რამდენჯერმე არის აღწერილი. ბოლო აღწერილობა იხ. [სინური კოლექცია 1979:229].

9) ფურცელს. ჭილის ფურცლები ეტრატის ორად გადაკეცილი ფურცლების, ბიფოლიოების შორის არის ჩასმული, ასე რომ ეტრატის ფურცლებს უფრო სუსტი და ფაქიზი მასალის, ჭილის ფურცლების დამცავი ფუნქცია აკისრია. მხოლოდ ერთ, 22-ე კვინიონში (190-199ფ.) მე-2 და მე-9 ფურცლები (191-198 ფ.) ეტრატისაა. ხელნაწერი აკინძულია სამ წიგნად და მუყაოზე გადაკრულ ტყავის ყდაშია ჩასმული გვიანდელ ეპოქაში. ძნელი სათქმელია, თავდაპირველი სახით ის ერთიანი ხელნაწერი იყო, თუ იმთავითვე სამი წიგნაკის სახით იყო წარმოდგენილი. ჭილის ფურცლები ძალიან თხელი, ამჟამად საკმაოდ დაზიანებულია; ეტრატის ფურცლები კარგად დამუშავებული, ღია ნაცრისფერია. ზოგ შემთხვევაში ეტრატის ფურცელი შეკოწიწებულია – უხეშად გაკერილია ძაფით. ტექსტი ერთ სვეტად არის ნაწერი მუქი ყავისფერი მელნით, სათაურები – წითელი მელნით. ნაწერია ნუსხურით, რომელშიც გარეულია მთავრული ასოები; ხშირია დაქარაგმებები. ნაწერი არათანაბარი, მოუწესრიგებელია; შეიძლება ითქვას, რომ ეს არის არაფორმალური, არამწიგნობრული ხელი. აშიებზე ვხვდებით არაპროფესიონალის მიერ შესრულებულ პრიმიტიულ ნახატებს – ჯვრის, ნაძვების და სხვ. გამოსახულებებს. მთლიანობაში, ამჟამად სამი წიგნაკის სახით წარმოდგენილი ჭილ-ეტრატის იადგარი ნარჩენი მასალისაგან არაპროფესიონალის მიერ სათუთად, მონდომებით ნაკეთი ხელნაწერის შთაბეჭდილებას ტოვებს, რომელიც შექმნილია პირადი ხმარებისათვის, თან სატარებლად.

ჭილ-ეტრატის იადგარს თარიღი არა აქვს. სპეციფიკური ხელწერის გამო მისი დათარიღება, პალეოგრაფიული ნიშნების მიხედვით, მერყეობს VII საუკუნიდან XI საუკუნის I ნახევრამდე.⁶ დათარიღებებიდან ყველაზე მისაღები X საუკუნის დასაწყისია, რასაც საფუძველს უმაგრებს შემდეგი არგუმენტი: ხელნაწერის 1v-ზე წარმოდგენილია მინაწერი: [ქ] ე შ ე ი ნ ე, (*ქრისტე, შეიწყალე იოანე*). მინაწერში მოხსენიებული იოანე, როგორც ჩანს, ამ ხელნაწერის მფლობელია. ამავე ხელით შესრულებული იგივე მინაწერი – ქ ე შ ე ი ნ ე – დართულია კოლოფონზე, რომელიც დასტურდება სინური კოლექციის ერთ ხელნაწერში: *Sin. Iber.* 50-ში (შეიცავს ქართულ ორიგინალურ თხზულებებს: „ქართლის მოქცევას“ და „ათცამეტ ასურელ მამათა ცხოვრებებს“).

6 ალ. ცაგარელი ხელნაწერს ათარიღებდა VII საუკუნით; ვ. კეკელიძე – IX საუკუნით, ი. აბულაძე – X-XI საუკუნეებით; ენობრივი ანალიზის საფუძველზე ა. შანიძემ ხელნაწერი XI საუკუნის დასაწყისით დაათარიღა, ხოლო რ. შმერლინგმა ორნამენტების ანალიზის საფუძველზე – X საუკუნის II ნახევრით. ყ. გარიტის მიხედვით, ხელნაწერი გადაწერილი უნდა ყოფილიყო X საუკუნეში. ლ. ხევსურიანის აზრით, რომელიც კრებულის ლიტურგიკული სტრუქტურის კვლევას ეფუძნება, ხელნაწერი X საუკუნის დასაწყისს განეკუთვნება. ბ. უტიეს თვალსაზრისი ხელნაწერის თარიღთან დაკავშირებით ემთხვევა ლ. ხევსურიანის აზრს.

კოლოფონის მიხედვით, იოანემ ეს ხელნაწერი სინას მთას შესწირა. აშკარაა, რომ H-2123-სა და *Sin. Iber.* 50-ში მოხსენიებული იოანე ერთი და იგივე პირია, რომელსაც ეს მინაწერები ეკუთვნის. *Sin. Iber.* 50-ც უთარილო ხელნაწერია, თუმცა ის შეიცავს ისტორიულ პირთა – ქართველ ეპიკოპოსთა და ზედაზნის მამათა ჩამონათვალს, რის მიხედვითაც ის X საუკუნის დასაწყისით თარიღდება [ალექსიძე 2001:16-18]. ის ფაქტი, რომ იგივე პიროვნება მოხსენიებულია H-2123-შიც, იძლევა ამ უკანასკნელის დათარიღების საშუალებას იმავე პერიოდით, რა პერიოდითაც თარიღდება *Sin. Iber.* 50, ანუ X საუკუნის I ნახევრით.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, H-2123 შეიცავს ეტრატის პალიმფსესტურ ფურცლებს, რომელთაგან ოთხის ქვედა ფენა ბერძნულად ნაწერ ტექსტს წარმოადგენს. ამათგან ორი ფურცელი (წიგნი B, 191, 198) გრიგოლ წერეთელმა აღმოაჩინა და გამოაქვეყნა 1932 წელს [წერეთელი 1932:427-432].⁷ ბერძნული ტექსტი წარმოადგენს ფრაგმენტს პავლეს ეპისტოლიდან ტიტეს მიმართ – *Tit.* 1, 4-6 (*Inc.* καὶ Χριστὸν ... *des.* πιστά), 7-9 (*Inc.* γὰρ τὸν ἐπίσκοπον ... *des.* τῆς δι...), ხოლო ორი პალიმფსესტური ფურცელი (წიგნი C, ფ. 294, 295), რომელიც 2002 წელს დადასტურდა ჭილ-ეტრატის იადგარში [ალექსიძე 2002:104-105], შეიცავს პავლეს ეპისტოლის ბერძნულ ტექსტს ტიმოთეს მიმართ: – 1*Tim.* 6, 5-6 (*Inc.* διεφθαρμένωσ ... *des.* ἔστιν), 8-9 (*Inc.* ... τοὺς ἀρκεσθησόμεθα ... *des.* πολλὰς ἀνο...), 10-11 (*Inc.* τῆς πίστεωσ ... *des.* δικαιοσύνη...), 12-13 (*Inc.* ... λόγησας ... *des.* τὰ πάντα). ოთხივე ფურცელი ერთი და იმავე ხელით არის ნაწერი და ერთსა და იმავე ბერძნულ ხელნაწერს განეკუთვნება. პალეოგრაფიული ნიშნებით თარიღდება V საუკუნით. ხელწერა არის საკმაოდ სტილიზებული *maiuscula biblica*.

ოთხი პალიმფსესტური ფურცლის ანალიზის შედეგად იკვეთება შემდეგი: ეს არის ორ სვეტად ნაწერი ორი ფურცელი, რომელთაგან ერთ-ერთი (ფ. 191, 198) გაჭრილია შუაზე ვერტიკალურად (შესაბამისად, ამჟამად დარჩენილია ერთი ნაწერი სვეტი), ჩამოჭრილი აქვს ზედა აშია და, სავარაუდოდ, 4 სტრიქონი, გაკეცილია შუაზე და ჩაკინძულია ხელნაწერში ჰორიზონტალურად (ზომა 11 x 19 სმ.; სტრიქონების რაოდენობა – 19). მეორე კი (ფ. 294, 295) გაჭრილია ჰორიზონტალურად (შესაბამისად, შეიცავს ორი ნაწერი სვეტის ზედა ნაწილებს), ნაწილობრივ ჩამოჭრილი აქვს გვერდითა აშიები, გაკეცილია შუაზე და ხელნაწერში ჩაკინძულია თავდაყირა (ზომა: 19 x 11 სმ.; სტრიქო-

7 ამ სტატიის წყალობით ჭილ-ეტრატის ეს პალიმფსესტური ფურცლები კარგად არის ცნობილი უცხოელი მკვლევრებისათვის: მეცვერი 1956; ტროი 1966; ეპი 1995; ელიოტი 2000/2005.

ნების რაოდენობა: 10). დაჭრილი ფურცლების ნაწილების მიხედვით რეკონსტრუირებული ბერძნული ხელნაწერის ფურცლების ზომაა: 24, 5 x 22 სმ.; სტრიქონების რაოდენობა სვეტში: 23.

ნიშანდობლივია, რომ ამავე ხელნაწერში დაცულია კიდევ ორი პალიმფსესტური ფურცელი. ა. შანიძის აზრით, მათი ქვედა ფენა ქართული მთავრულით შესრულებული ნაწერი უნდა იყოს, თუმცა, უფრო საფიქრელია, რომ ეს ებრაული მრგვლოვანია. ასე რომ, ჭილვეტრატის იადგარი კვლავაც ინახავს კიდევ ერთი ძველი ხელნაწერის საიდუმლოს. ხოლო იმ გარემოს შესახებ, რომელშიც ეს ხელნაწერია შექმნილი (სავარაუდოდ საბა-წმიდა), შეიძლება კიდევ ერთხელ დავადასტუროთ, რომ ის ძველთაგან წარმოადგენდა მულტიკულტურულ სამონასტრო ცენტრს, სადაც იმთავითვე ინახებოდა სხვადასხვაენოვანი ძველი ხელნაწერები.

დამოწმებანი

- ალექსიძე 2001:** Z. Alexidze, *Le nouveau manuscrit géorgien sinaitique N Sin.* 50, édition en facsimile, Lovanii, 2001.
- ალექსიძე 2002:** Z. Alexidze, On the Georgian Collection of Palimpsests, *Rinascimento Virtuale, Digitale Palimpsestforschung, Rediscovering written records of a hidden European cultural heritage*, Berichband, der Konferenz des Netzwerks Rinascimento Virtuale zur digitalen Palimpsestforschung, 28-29 Juni, 2002, Bratislava, 2002.
- ალექსიძე... 2011:** ზ. ალექსიძე და დ. ჩიტუნაშვილი, კულტურათა გზაჯვარედინზე (ქართულ-სომხური კოდიკოლოგიური შეხვედრები), ქრისტიანული კავკასია, 2, თბილისი, 2011.
- ბარბუ 1981:** R. Barbour, *Greek Literary Hands A. D. 400-1600*, Oxford, 1981.
- დურნოვო 1978:** L. A. Durnovo, M. S. Sargisian, *Ornaments of Armenian Manuscripts*, ed. A. Sh. Mnatsakanian, Yerevan, 1978.
- ელიოტი 2000/2005:** J. K. Elliot, *A Bibliography of Greek New Testament Manuscripts*, second ed. (Society for New Testament Studies, Monograph Series, 109), Cambridge University Press, 2000/2005, p. 88.
- ეპი 1995:** E. J. Epp, The Papyrus Manuscripts of the New Testament, *The Text of the New Testament in Contemporary Research. Essays on the Status Questionis*, eds. B. D. Ehrman, M. W. Holmes, Michigan, 1995, p. 3-21;
- იადგარი 1977:** ჭილ-ეტრატის იადგარი (ძველი ქართული ენის ძეგლები, 15), ა. შანიძის, ა. მარტიროსოვისა და ა. ჯიშიაშვილის გამოც., თბილისი, 1977.
- ლეიკი... 1937:** K. Lake, S. Lake, *Dated Greek Minuscule Manuscripts to the Year 1200*, Fasc. 9: Manuscripts in Rome, 1937.
- ლეიკი... 1935:** K. Lake, S. Lake, *Dated Greek Minuscule Manuscripts to the Year 1200*, Fasc. 4: Manuscripts in Paris, 1935.
- ლოსაკო 2007:** M. Losacco, *Su alcuni codici crisostomici affini alla produzione di Giovanni di Laura*, Nea Rhome 4, 2007.
- მეცგერი 1956:** B. M. Metzger, A Hitherto Neglected Early Fragment of the Epistle to Titus, *Novum Testamentum* 1 (1956);
- ობინო 1968:** *Codices Chrysostomici Graeci, I, Codices Britanniae et Hiberniae*, M, Aubineau, Paris,
- ოთხმეზური... 2011:** თ. ოთხმეზური, ქ. ბეზარაშვილი, იოანე ოქროპირის მათეს სახარების კომენტარის ფრაგმენტი ბერძნული ხელნაწერების კოლექციიდან, *ბიზანტინოლოგია საქართველოში* – 3, თბ., 2011.

- ოქროპირი 1996:** წმ. იოანე ოქროპირი, თარგმანებად მათეს სახარებისა, თარგმანი წმ. ეფთვიმე მთაწმიდელისა, წიგნი I, გამომც. მ. ბაბუხაძია, ლ. ბასილაია, ნ. დობორჯგინიძე, დ. თვალთვაძე, თ. კარსანიძე, მ. მაჩხანელი, ნ. შარაშენიძე, ნ. შულლაძე, თ. ცოფურაშვილი, თ. ცქიტიშვილი, რედ. მ. შანიძე, თბილისი, 1996, გვ. 15-19. ტექსტი გამოქვეყნებულია ათონური ხელნაწერების მიხედვით (*cods. Ath. Iber.* 13, 4, 10, XI s.).
- სინური კოლექცია 1979:** ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა (სინური კოლექცია), I, ე. მეტრეველის, ც. ჭანკიევის, ლ. ხევსურიანის, ლ. ჯღამაიას გამოც., თბ., 1979.
- ტროი 1966:** K. Treu, *Die griechischen Handschriften des Neuen Testaments in der UdSSR; eine systematische Ausnurtung des Texthandschriften in Leningrad, Moskau, Kiev, Tbilisi und Erevan, Berlin*, 1966, p. 353-354;
- უძველესი იადგარი 1980:** უძველესი იადგარი, ე. მეტრეველის, ც. ჭანკიევის, ლ. ხევსურიანის გამოც., თბილისი, 1980.
- წერეთელი 1932:** G. Zereteli, Un palimpseste grec du Ve siècle sur parchemin (Epist. Ad Tit., 1, 4-6, 7-9), *Académie royale de Belgique, in: Bulletin de la classe des Letters et des Sciences Morales et Politiques*, 5e ser., 18, 11 (1932).

Some Stories about Flyleaves and Palimpsest Leaves in Medieval Manuscripts

Zaza Alexidze, Tamar Otkhmezuri

Medieval manuscripts can often be sources for possible rediscoveries as sometimes they may bring with them old manuscript fragments due to the early ways of medieval book production. The consumption of old codices to obtain material frequently occurred in medieval times. Early medieval scribes were indiscriminate in supplying themselves with material from any old volumes that were at hand. Reused material might mostly be in a foreign language or written in unfamiliar scripts that had become illegible over time. Vellum manuscripts were over-written mostly due to the dearth or cost of the material; parchment leaves from early codices were sometimes pasted on the wooden covers of early books or even used as covers. Parchment leaves could also be reused as flyleaves.

The aim of our article is to discuss three distinct examples of the creation of new manuscripts from old ones. These examples have been selected to include samples of Caucasian and Byzantine manuscript books.

* * *

In an Armenian manuscript in the National Centre of Manuscripts, the Armenian Four Gospels (*Arm.* 24), seven flyleaves are attested. Two of these include Georgian text, and five of them Armenian. According to the colophon. This manuscript was copied in Ozaberd Monastery between 1568-1569. The scribe was a certain Petros Abegha, whose tutor was the Catholicos of Agthamar, Grigoros II (1544-1586). His residence was situated on Agthamar, the island in Lake Van.

The folios including Georgian text are inserted at the beginning and at the end of the manuscript; they contain passages from the *Gospel of Luke* (I: *Luke* 14, 26; II: *Luke* 11, 25). These are thick yellow parchment leaves. Upper and side margins are trimmed and the folios are adjusted to the size of the Armenian manuscript. As a result, the first letters of the lines are lost. The measurements are: I f. – 27.2 x 19.0 cm; II f. – 28.4 x 18.7 cm. There are no traces of late restoration. It is evident that they were inserted into the manuscript during binding. The text is written in medium-brown ink in two columns, each column containing 19 lines of Asomtavruli (majuscule) script. The liturgical

notes are written in carmine. The copyist is not experienced in calligraphy. The writing is not regular. On the basis of technical data, and also palaeographical and orthographical features, the fragment can be dated to the tenth century.

The five folios of an Armenian manuscript used as flyleaves in *Arm. 24*, include the text of a lectionary. This text is written in two columns, in brown ink, erkathagir sloping to the right. The upper and the side margins of the folios are cut off. The fragment shows features typical of ancient *Armenian Lectionaries*. Based on palaeographical data this fragment can also be dated to the tenth century.

In the archive materials of Mkhitarist Kalatozishvili kept in the National Centre of Manuscripts, two folios (thick yellow parchment leaves) of Georgian manuscript attract our attention (Q-213). The upper half of a leaf of the Georgian manuscript written in two columns has been cut vertically into two equal parts. Due to this, only one column is present in each folio. Presumably they served as flyleaves for a small-size Armenian manuscript (14.5 x 11.5 cm). This is a fragment of the *Gospel of Mark* (14, 72; 15, 1-15). A comparative palaeographical study of the Georgian fragments revealed that the handwriting of the two items (flyleaves of *Arm. 24* and Q-213) are identical.

The marginal notes of Q-213 deserve special attention. In the margins and between the columns numbers (the numeration of the verses of the Gospel) in late Georgian nuskhuri (minuscule) script are appended (რქს, რქთ, გრ, სბ). In the margins there is also a late Armenian inscription, where the same date as in the colophon of *Arm. 24* is attested: 1568/1569. The handwriting of both notes is very similar.

One more fragment of the same Georgian manuscript was discovered by B. Outtier in the Matenadaran (Erevan). One folio including the text of the *Gospel of Mark* (8, 17-31) was inserted as a flyleaf into the beginning of an Armenian *Four Gospels* (N 3716), copied in Van in 1421 according to the colophon. The upper and side margins of the leaf are cut off; the leaf is adjusted to the size of the Armenian manuscript. The size is: 25 x 18 cm. On the basis of technical data, and also palaeographical and orthographical features, this fragment is similar to the flyleaves in *Arm. 24* and Q-213. In the Matenadaran fragment there are the same liturgical notes written in carmine as on the flyleaves of *Arm. 24*; the numeration of the Gospel verses in the Matenadaran fragment is identical to the stichometric notes of Q-213.

Taking into consideration all these data, we can conclude that these three fragments are parts of one and the same Georgian manuscript. This manuscript was cut for use as secondary material for the Armenian Four Gospels manuscripts several times: first in 1421 in Van to serve as flyleaves for Armenian manuscript (*Matenadaran* – N3716) and for the second time in the 1560s. The scribe of *Arm. 24*, Petros Abega, who learnt the technique of scribing manuscripts in Van in the 1560s took this manuscript material from

Van to Ozaberd, where in 1568/1569 it was cut and used again as flyleaves for two Armenian manuscripts.

* * *

In the Armenian manuscript kept in the National Center of Manuscripts – *Arm.* 308 (the Gospel, 282 ff., size: 17.5 x 12.5 cm), four folios of a Greek manuscript were inserted to serve as flyleaves. The Armenian manuscript is a richly ornamented *Four Gospels* of the famous Cilician school, which flourished in the area north-east of the Mediterranean Sea in the thirteenth and fourteenth centuries.

A single parchment leaf of the Greek manuscript (parchment: thick, yellow-white, rough) was cut into two parts, folded and inserted at the beginning and at the end of the Armenian manuscript. The size of the reconstructed leaf is 2 x [17.5 x 24.5 cm]. It has wide margins: the upper margin is 3.5 cm and the lower margin 6 cm; the right margin is 6.5 cm; the left margin is cut. The text is written in two columns; the text is written in medium-brown ink, capitals in carmine, slightly decorated; it contains a fragment of John Chrysostom's *Explanation on Gospel of Matthew* (*Homil.* 26, PG 57, col. 339 l. 15 – col. 340 l. 19):

On f. 1v, in the upper margin, there is a marginal note written in carmine: ΗΘ κ̂ ζ̂ ὅτι οὐ δεῖ μέχρι τέλους θαρρῆν τὸν ἐστῶτα, ἡ ἀπογινώσκειν ἑαυτὸν τὸν πεπτωκότα. On the same page, in the left margin, below the passage of John Chrysostom's text – Μὴ τοῖνυν θαρρῶμεν οἱ ἐστῶτες (PG 57, 340 l. 1) – there is written: ΗΘ κ̂ ζ̂ (ἡθικόν κ̂ ζ̂) showing that note number twenty six presented above, and which is of an ethical character, is connected with this part of the text. The Biblical citations (*Matt.* 8, 13 (*bis*); *Matt.* 19, 30; *Matt.* 3, 9) in the text are marked by obelo marginal signs. The main text is written in minuscule, while the marginal note is in majuscule. The type of minuscule writing is *Perlschrift*; the writing is fairly tidy and regular, rounded and quite expanded.

Palaeographical analysis reveals the similarity of the handwriting of this fragment to the script of some manuscripts dated to the eleventh century, namely to manuscripts copied in the first part of the eleventh century. The *Tbilisi fragment* also presents certain features typical of manuscripts from Mount Athos. The resemblance is the existence of the note (ἡθικόν) in the upper margin of the folio: the same note is added to the same passage in a manuscript of Athonite origin – *Trin. Cantab.* B 8 4 dated to the twelfth / thirteenth centuries. Similar marginal notes – ἡθικόν-s, which are numbered – are also found in several manuscripts from Mount Athos containing John Chrysostom's *Commentary on the Gospel of Matthew* (Bologna, *BCA*, A1; *Istanbul* – Πατριαρχικὴ Βιβλιοθήκη, Μονὴ τῆς Ἁγίας Τριάδος, 119; Ἀθήνα, Ἐθνικὴ Βιβλιοθήκη 2538; *Vat. Urb. gr.* 19).

It is noteworthy that the Georgian translation of John Chrysostom's *Commentary on the Gospel of Matthew* made by the famous Athonite scholar Euthymius at the end of the tenth century, also includes identical notes. The ἠθικόν-s – that is, short ethical maxims, are called *Teachings* (scaviani) in Georgian and, in contrast to the Greek manuscripts, are incorporated into the Georgian text, serving as headings for the corresponding parts of the text. The Georgian text is divided into 90 *Teachings*, and the text of that under the number twenty-six is found precisely in the place where *Gr./Arm.* 32 has a marginal note with the same numbering. The content of the heading follows the Greek ἠθικόν. The father of Euthymius, John the Athonite, informs readers in his colophon that the *Teachings*, as well as their index, are found in Greek manuscripts. Thus, Georgian sources demonstrate that ἠθικόν-s were found in the Greek manuscripts of Chrysostom's *Commentary* current on Mount Athos in the tenth century. We have no opportunity to judge whether the ἠθικόν-s were characteristic of manuscripts coming from other scriptoria, therefore the fact that they are present in manuscripts of Athonite origin can hardly be taken as a valid criterion when determining the origin of the *Tbilisi* fragment. It should be noted that contacts between the different monastic centres and scriptoria of Byzantium were very close; manuscripts, as well as the scribes themselves, moved and changed their places from time to time with various frequency in different periods. Because of this, one must agree with Barbour that it is extremely difficult to be certain that a manuscript was copied in a particular centre unless this is explicitly stated in an unambiguous subscription.

Taking into consideration all these data, we can conclude that *Gr./Arm.* 32, the fragment from a big and valuable Greek manuscript of John Chrysostom's *Explanation on the Gospel of Matthew*, which was copied in the first half of the eleventh century, in a significant milieu, was cut in the thirteenth / fourteenth centuries in an Armenian-speaking community for use as secondary material for native-language manuscripts.

* * *

Georgian manuscript H-2123 of the National Center of Manuscripts, the so-called *Papyri-Parchment Triodion* (the first half of the tenth century), which is present in three separately stitched volumes, contains several folios of palimpsest.

This manuscript was discovered and taken from the Monastery of St. Saba in the second half of the nineteenth century by Porphyri Uspenski. First it was considered by Uspenski to be Ethiopic (there is an adscription on the spine of the MS: *Codex aethiopicus, pars I, II, III, A. Porfirius*). A. Tsagareli elucidated that the MS was a collection of Georgian chants, according to which Uspenskij himself made an inscription in the MS., in the first depository page of book I: *These are three Georgian church books written on papyri, but neither Gospel, nor*

Books of Apostles or Psalter, E. Porphyri (in Russian). The MS was preserved in the Petrograd National Library until 1923 and only later was it transferred to Georgia.

In 1932 G. Zereteli discovered and published the Greek text of the lower layer of the two folios (Book B, 191r, 198v), but he seems not to have noticed two other folios (Book C294, 295) which were revealed in 2002. Folios discovered by Zereteli are well-known to scholars (International numeration: 0240 according to the bibliography of Elliot), but none of the Greek palaeographers has ever seen the folios discovered in 2002. All the folios are written in an identical hand, they are from one and the same manuscript dated to the fifth century. They include fragments of the *Epistle of Paul to Titus* (*Epist. ad Tit.* 4-9) and to *Timothy* (*Epist. ad Tim.* 6, 5 – 7; 6, 8 – 9). The parchment folios have been specially treated, and are very thin and very light grey. The lower layer is written in brown ink. The Greek text is not very much damaged.

The first item including fragments of *Tit.* (ff. 191, 198 of the Georgian manuscript) represents a leaf written in two columns which was cut vertically in the middle, consequently it now consists of only one column; the upper part of the leaf (the upper margin and, presumably, four lines of written text) is also cut off. It is folded in the middle and bound horizontally in the MS. The six papyri leaves of the Georgian manuscript (ff. 192, 193, 194, 195, 196, 197, 198) have been placed between the palimpsest leaves. The size of the trimmed leaf is 11 x 19 cm; the number of lines is 19.

The second item including fragments of *1Ti.* (ff. 294, 295 of the Georgian manuscript) is a horizontally cut leaf of the same manuscript which contains the upper part of two columns of the written text. The side margins of the leaf are also partly cut off and adjusted to the size of the Georgian manuscript. The leaf is folded in the middle and bound upside down in the Georgian manuscript. The size of the cut off leaf is 19 x 11 cm; the number of lines is 10.

According to the data of the vertically and horizontally cut leaves it is possible to reconstruct the measurements of the Greek manuscript. The length of the leaves is 24.5 cm; the width of the leaves is approximately 22 cm; the lower margin is 3.5 cm, the upper margin 2.5 cm; the side margin is 4 cm; the number of lines in each column is 23. The Greek text is written in brown ink. The script is a typical so-called *maiuscula biblica*, and is quite stylized.

It is notable that the same manuscript includes two other leaves written on parchment, which also were not noticed by Zereteli. These leaves are provided in A. Shanidze's description of the *Papyri-Parchment Triodion* although the lower text is erroneously identified with Georgian majuscule writing. In fact it must be round Hebrew script. These palimpsest leaves have not yet been studied. Thus it is evident that the place where the *Triodion* was copied was a multicultural monastic centre (presumably the Monastery of St. Saba), where manuscripts in different languages had been kept from early times.

Bibliography

- Aleksidze, Z.**, Le nouveau manuscrit géorgien sinaïtique N Sin. 50, édition en fac-simile, Lovanii, 2001, Introduction, p. 16-18.
- Aleksidze, Z.**, On the Georgian Collection of Palimpsests, Rinascimento Virtuale, Digitale Palimpsestforschung, Rediscovering written records of a hidden European cultural heritage, Berichtband, der Konferenz des Netzwerks Rinascimento Virtuale zur digitalen Palimpsestforschung, 28-29 Juni, 2002, Bratislava, 2002, p. 104-105.
- Aleksidze, Z., Chitunashvili, D.**, At the Crossroads of Cultures (Georgian-Armenian Codicological Meetings), Caucasus Christianus, 2, Tbilisi, 2011, p. 387-360 (in Georgian).
- The Ancient Iadgari**, eds. E. Metreveli, Ts. Chankievi, L. Khevsuriani, Tbilisi, 1980 (in Georgian).
- Barbour, R.**, Greek Literary Hands A. D. 400-1600, Oxford, 1981, p. xxi.
- Description of Georgian Manuscripts** (Sinai Collection), I, eds. H. Metreveli, Ts. Chankieva, L. Khevsuriani, L. Jgamaia, Tbilisi, 1979, p. 229 (in Georgian).
- Codices Chrysostomici Graeci**, I, Codices Britanniae et Hiberniae, M. Aubineau, Paris, 1968.
- Durnovo L. A., Sargisian M. S.**, Ornaments of Armenian Manuscripts, ed. A. Sh. Mnatsakanian, Yerevan, 1978, p. 20-21.
- Elliot, J. K.**, A Bibliography of Greek New Testament Manuscripts, second ed. (Society for New Testament Studies, Monograph Series, 109), Cambridge University Press, 2000/2005, p. 88.
- Epp, E. J.**, The Papyrus Manuscripts of the New Testament, The Text of the New Testament in Contemporary Research. Essays on the Status Questionis, eds. B. D. Ehrman, M. W. Holmes, Michigan, 1995, p. 3-21.
- John of Chrysostom**, Commentary on the Gospel of Matthew Translated by Euthymius of Athonite, vol. II, publ. by M. Babukhadia, L. Basilaia and others, ed. by M. Shanidze, Tbilisi, 1996,
- Lake K., Lake S.**, Dated Greek Minuscule Manuscripts to the Year 1200, Fasc. 9: Manuscripts in Rome, 1937, p. 14, Pl. 501-503.
- Lake, K. Lake, S.**, Dated Greek Minuscule Manuscripts to the Year 1200, Fasc. 4: Manuscripts in Paris, 1935, p. 11, Pl. 249-250.
- Losacco, M.**, Su alcuni codici crisostomici affini alla produzione di Giovanni di Laura, Nea Rhome 4, 2007, 123-142.
- Metzger, B. M.**, A Hitherto Neglected Early Fragment of the Epistle to Titus, Novum Testamentum 1 (1956);

- Outier, B., New Asomtavruli Fragments of the Gospel of Marc. Studies of the Chair of the Old Georgian Language, vol.31, 2004, p.147-148.
- The Papyri-Parchment Iadgari** (Monuments of Old Georgian Language, 15), eds. A. Shanidze, A. Martirosov, A. Jishiashvili, Tbilisi, 1977 (in Georgian).
- Treu, K.**, Die griechischen Handschriften des Neuen Testaments in der UdSSR; eine systematische Ausnurtung des Texthandschriften in Leningrad, Moskau, Kiev, Tbilisi und Erevan, Berlin, 1966, p. 353-354;
- Tsagareli, Al.**, The Ancient Monuments of Georgia in Holy Land and Sinai, St.-Petersburg, 1888 (in Russian).
- Zereteli, G.**, Un palimpseste grec du V^e siècle sur parchemin (Epist. Ad Tit., 1, 4-6, 7-9), Académie royale de Belgique, in: Bulletin de la classe des Letters et des Sciences Morales et Politiques, 5e ser., 18, 11 (1932), p. 427-432.